# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენადაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

**აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 13 **GEORGIAN OPINION** NEW YORK, FEBRUARY 1957


ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნიუ-იორკი, თებერვალი, 1957 წ.**

„მეორე წლის თავი თითქმის დავიწყებულია, მაგრამ ის ღირსია მოგონების. ეს იყო 32 წლის წინ, სწორედ ამ კვირებში, როდესაც წითელმა არმიამ დაიკავა თბილისი; წინააღმდეგ წინასწარ შეპირებებისა მოსპო საქართველოს დამოუკიდებლობა და შექმნა იქ თავისათვის სასურველი რეჟიმი, რომელიც ამ ჟამად წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ნაწილს. სხვადასხვა შემთხვევებისათვის ტაქტიკა სხვადასხვაა, ხოლო შედეგი ერთი და იგივე“.

„ნიუ-იორკ ტაიმსი, თებერვალი, 1952 „.“

ამ თებერვალში კი გვისრულდება 36 წელიწადი, რაც ჩვენი ეროვნული ტრაღედია დაიწყო. ამიტომ არის, რომ ჩვენი და ჩვენი მკითხველის ყურადღება და ფიქრი გვინდა მივუძღვნათ ჩვენს მშობლიურ ერს, რომელიც რუსული კომუნისტური აგრესიის პირველი მსხვერპლთაგანია და რომელსაც თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა არც ერთ პერიოდში, არც ერთ მომენტში არ დაუხრია.

რათა სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ მოვლენებზე, თუ რა მოხდა 36 წლის წინ, ე. ი. 1921 წლის თებერვალში, საჭიროა თვალი გადავავლოთ იმ დროინდელ გარემოებას და გავიხსენოთ ის ისტორიული მომენტი, რომელიც ჩვენ ეროვნულ ტრაღედიას წინ უსწრებდა.

კერძოდ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა რუსეთმაც იცნო ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა და 1920 წლის მაისის 7-ს მეგობრული ხელშეკრულებით შეეკრა მას. იქ ნათქვამია: „რუსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა ურეზერვოდ სცნობს ქართული სახელმწიფოს ყოველგვარ უფლებებს, რომელიც ეკუთვნოდა თვით თვითმპყრობელურ რუსეთს, ქართველი ხალხის და მისი ტერიტორიის მიმართ“. ხოლო ხელშეკრულების მეორე მუხლით საბჭოთა რუსეთი თავს ივალდებულებდა, რომ არ ჩაერეოდა საქართველოს საქმეებში.

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე აღვნიშნოთ, რომ თვითმპყრობელმა რუსეთმა ცალმხრივად დაარღვია 1783წლის ტრაქტატი, მან უხეში ძალმომრეობით გააუქმა საქართველოს სამეფო და ის თავის კუთვნილებად გამოაცხადა, რომელსაც ქართველმა ერმა მრავალი აჯანყებით უპასუხა. ამგვარად ხელშეკრულებაში ნახმარი გამოთქმა — „უფლებები, რომელიც ეკუთვნოდა თვითმპყრობელურ რუსეთს“ არის გარემოების არ ცოდნა და სინამდვილის გაყალბება.

რუსეთის იმდროინდელი შეპირება დაახლოებით იგივე და იმავე ფორმებშია გამოთქმული, როგორც ყოველი ფერის რუსეთი ყველას ჰპირდება მისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნამდე და საქართველოსაც ისე აუსრულა, როგორც ყველა შემთხვევაში ასრულებს და 1921 წლის 11 თებერვალს მუხანათურად და მზაკვრულად, ომის გამოუცხადებლად თავს დაგვესხა და ჩვენი სამშობლო კვლავ რუსულ იმპერიაში შეათრია.

ერთსა და იმავე დროს სამი მიმართულებით მოიტანეს იერიში. რუსული ჯარის მეთერთმეტე არმიამ და მეთვრამეტე კავკასიურმა დივიზიამ მოქმედება დაიწყეს სომხეთისა და აზერბეიჯანის მხრიდან, ხოლო ქლობას ცხენოსანი და ოცდამეცამეტე ფეხოსანი დივიზიის მე-98-ე ბრიგადა მამისონის უღელტეხილიდან გადმოვიდა.

მოულოდნელობამ ქართველი ერის გული ვერ გატეხა. აქ იჩინა თავი თვითარსებობისათვის ბრძოლის ორიათასწლოვანმა ტრადიციამ და მომხდურებს ქართველები ფიცხელი ბრძოლით დახვდნენ.

16 თებერვალს, როდესაც ბრძოლები თბილისის მიდამოებში მიმდინარეობდნენ, მთავრობამ შეიარაღებული ძალის მთავარსარდლობა მიანდო სამხედრო სკოლის უფროსს, გენერალ გ. კვინიტაძეს. სამი წლის დამოუკიდებლობის პერიოდში გენერალმა კვინიტაძემ მოასწრო თავისი სახელი იმ გვარი ავტორიტეტით შეემოსა, რომ ამ ტრაღიკულ მომენტში მისმა სარდლობამ გამარჯვების იმედი გაზარდა და ქართველი ხალხის ბრძოლის უნარი გაათრკეცა.

განმეორდა ისტორია. მთელი საქართველო განურჩევლად წრისა და სოციალური მდგომარეობისა, მიილტვოდა ფრონტისაკენ და ავსებდა მებრძოლთა რიგებს. ჯარისკაცის ფარაჯაში ნახავდით მწერალ-მეცნიერს, სტუდენტს, ქარხნისა თუ მიწის მუშებს საშუალო და სამხედრო სკოლის მოსწავლეებს და სხვას. ზე-ადამიანური მონდომებით და თავგანწირვით მებრძოლები არ უდრკებოდნენ მტერს. მამა-პაპური მხნეობით იცავდა ქართველი ხალხი დიდიხნიდან ნაინატრ ეროვნულ თავისუფლებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველ იუნკერთა სიმხნევე, რომლებმაც ხელჩართული ბრძოლით რამოდენიმეჯერ უკუ აქციეს მტერი და ტაბახმელა-კოჯრის სიმაღლეები დაიბრუნეს. მაგრამ ამ სახელოვანმა ეპიზოდმა გააცისკროვნა ქართული ეროვნული იდეა და ქართული ხმლისა და მკლავის მოხმარების ტრადიციული უნარიობა დაამტკიცა და საქართველოს ისტორიას ახალი ბრწყინვალე ფურცელი შემატა. ომის ბედი კი გადასწყვიტა რიცხობრიობამ.

1921 წლის 18 მარტს საქართველოს მთავრობამ დასტოვა მშობლიური მიწა-წყალი.

სწორედ ერთი თვის შემდეგ, ე. ი. იმავე წლის 18 მარტს, ლენინი თავის ქართველ აგენტებს სწერდა: „საქართველოს გასაბჭოების გამო სასტიკი კამპანია სწარმოებს დასავლეთ ევროპაში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. საჭიროა საქართველოს რევოლუციონურმა კომიტეტმა ენერგიული კონტრ - პროპაგანდა დაიწყოს საბჭოთა რუსეთის მფარველობითი და მეგობრული აქტის დასამტკიცებლად ქართველ მუშებისა და გლეხების მიმართ, რომლებიც აუჯანყდნენ ქართულ ბურჟუაზიულ მთავრობასო“.

ამის შემდეგ რუსული ბოლშევიზმის ქართველი აგენტები შეეცადნენ დაემტკიცებინათ, რომ საქართველოში მოხდა რევოლუცია და ქართველმა მუშამ და გლეხმა განდევნა მათთვის მიუღებელი მთავრობა და საკუთარი, პროლეტარიატის დიქტატურა დაამყარაო. ქართველი ბოლშევიკების გაზეთი „კომუნისტი“ 1921 წლის 5 მაისს სწერდა: „კომუნისტური რუსეთის არმიამ, ჩვენმა კლასიურმა ამხანაგმა, სამსახური გაგვიწია და გაგვანთავისუფლა ანტანტის ბრჭყალებისაგან“.

ყველასათვის ცნობილია, რომ ანტანტის უკანასკნელი ბასტიონი, ბათუმი, 1920 წლის ივლისში ჩააბარა ინგლისმა ქართულ ხელისუფლებას.მაშ რომელი ანტანტისაგან ანთავისუფლებდა საქართველოს რუსული არმია?

ცხადია, აქ საქმე გვაქვს ჩვეულებრივ რუსულ სითაღლითესთან. მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ იმ დროს საქართველოში არც ერთი უცხო ჯარისკაცი აღარ იყო და სწორედ ამან მისცა გამბედაობა კრემლის ბატონებს, რომ 7 მაისის ხელშეკრულებით განიარაღებულ და დასუსტებულ საქართველოს თავს დასხმოდნენ.

ქართველი ერის მიერ წარმოებულმა ბრძოლებმა და შეურიგებლობამ ვერ გასტეხა ბოლშევიკური სიკერპე და 1936 წლის 25 თებერვალს ქართველი კომუნისტების იმ დროინდელ გენერალურ მდივანს ეყო გამბედაობა, რომ კვლავ გაემეორებინა ეს გაცვეთილი სიყალბე და გაზეთ „იზვესტიაში“ განაცხადა, რომ „1921 წლის თებერვალში ქართველმა ხალხმა, პროლეტარული წითელი არმიის დახმარებით გაანთავისუფლა საქართველო მენშევიკური ბატონობისაგან და საბჭოთა დიქტატურა დაამყარაო“.

მათს ანგარიშში არ შადის გაიხსენონ ის გმირული ბრძოლები, რომელიც ქართველმა ხალხმა წითელ არმიას მისცა. არც ის მრისხანე და შეუპოვარი აჯანყებები, რომლებიც ქართველმა ერმა დამპყრობელს მოუწყო და არც რუსულ ბოლშევიზმთან ბრძოლებში დაქცეული სისხლი, რომლის მოწმე ქართული მიწის ყოველი მტკაველია. ბოლშევიკების ანგარიშში არ შედის, ქართველ ხალხს და მთელ კაცობრიობას ერთხელ მაინც სიმართლე უთხრან, როგორ მიიღო ქართველმა მუშამ და გლეხმა რუსის „კლასიური“ ძმები.

მაგრამ ჭეშმარიტების აღსადგენად მივმართოთ თვით კომუნიზმის იმ დროინდელ ლიდერებს.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

## წერილი ლონდონიდან

უნგრეთის გმირულმა აჯანყებამ და საბჭოეთის სიველურემ ნიღაბი ახადა რუსული კომუნიზმის ლიდერებს და მათი მსოფლიო გეგემონიისადმი ლტოლვა „ქუჩის კაცისათვისაც“ ნათელი შეიქმნა. აქაური ჟურნალ-გაზეთების აზრით, ამ გარემოებამ მოსკოვს ჩამოაშორა პროსაბჭოურად განწყობილი წრეებიც კი და განამტკიცა და გაზარდა ანტიკომუნისტური აზროვნება. თავისუფლებისათვის მებრძოლ უნგრელების უწყალო ჟლეტამ ყველას თვალები აუხილა და დაანახვა თუ რა ფასი და მნიშვნელობა აქვს რუსული ზავისა და მშვიდობიანობის პროპაგანდას. ამ მოვლენამ სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა რუსულ იმპერიალიზმს და თვით კომუნისტურ იდეას.

ერთი აქაური გაზეთი სწერდა: „უნგრეთის გმირულმა აჯანყებამ განტვირთა ხრუშჩოვის მიერ ბურუსით მოცული „კოლექტიური მმართველობის“ პოლიტიკა და დღის სინათლეზე გამოიტანა მისი სტალინიზმისგან განუშორებელი და არა-რუს ერებთან დამოკიდებულების მეთოდი. ამ საქციელით საბჭოთა ლიდერებმა გააკოტრეს საკუთარი პოლიტიკა და თვით საბჭოთა მმართველობის სისტემას ძირი გამოუთხარესო“.

მართლაც დღევანდელმა რუსეთის ლიდერებმა „სტალინის განგვირგვინებით“ მთელ საბჭოთა არა-რუს მოსახლეობაში და ე. წ. სატელიტებში გაამხნევეს და გაათამამეს რუსული ხიშტით მიდუმებული ეროვნული გრძნობა და ის სხვა და სხვა ქვეყანაში სხვა და სხვანაირად გამომჟღავნდა, ხოლო კრემლის სტალინის მეთოდებით „ანგარიშის გასწორებამ“ კაცობრიობას დაუმტკიცა, რომ იქ არაფერი არ გამოცვლილა და კრემლის გადაუდებელ ამოცანად დარჩა მსოფლიო რევოლუცია და ამ გზით მთელ ქვეყანაში რუსეთის გაბატონება.

ხრუშჩოვი და ბულგანინი რომ „ღიმილის პოლიტიკით“ შესცვლიდნენ თავისუფლების მოყვარულ ქვეყნიერების განწყობილებას და დასავლეთში მომხრეებსა და თანამგრძნობებს შეიძენდნენ, მაგრამ მათ ეს დიდი თამაში უკვე წააგეს და საკუთარი ხელით მოსჭრეს ის ტოტი, რომელზედაც ისხდნენ. უნგრეთში გამომჟღავნებულმა რუსულმა შეუბრალებლობამ მთელ დასავლეთს დაანახვა, რომ „ღიმილის პოლიტიკას“ არაფერი გამოუცვლია და კაცობრიობა კვლავ რუსული იმპერიალიზმის და აქედან გამომდინარე ახალი ომის საშიშროების წინაშე დგას, ეს გარემოება კი თავისუფალ - დემოკრატიულ ქვეყნებს უფრო მეტად შეამჭიდროებს და მათ ერთობას განამტკიცებს.

არაბული ქვეყნები თავის ეროვნულ - განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთგულ მოკავშირედ და დამხმარედ საბჭოთა კავშირისა სთვლიდნენ. უნგრეთის ამბებმა მათაც თვალი აუხილა და დიდად ჩააფიქრა. ამ გარემოებამ საბჭოთა ბლოკს და მის ერთგულთ ზოგ არაბულ ქვეყნებს მოსვენება დაუკარგა.

ლონდონის ერთი გავლენიანი გაზეთი თავის დროზე სწერდა: „რუსეთი ყველაზე ნაკლებ არის მომზადებული ომისათვის დღეს, ვიდრე ომის შემდგომი წლების მანძილზე რომელიმე დროს იყო და ამისათვის დასავლეთი უნდა უმადლოდეს უნგრეთს. რუსეთი განიცდის უდიდეს სამხედრო კრიზისს. უნგრეთის აჯანყებამ ნათელჰყო, რომ მას აღარ შეუძლიან იანგარიშოს არა-რუს ერთა და კერძოდ სატელიტების ჯარზე, რაც 100 დივიზიას აღემატებაო“-ო.

დასავლეთის ზავითა და მშვიდობიანობით გატაცებულ მიამიტ მაყურებელს სჯეროდა არა მარტო ხრუშჩოვ - ბულგანინის მშვიდობიანობის პოლიტიკა, არამედ მათი სამხედრო ძლიერებაც და მისი რიდი ჰქონდა. დღეს იგივე „მიამიტი მაყურებელი სრულიად ეჭვმიუტანელად დარწმუნდა, რომ მათი პოლიტიკა ყალბი იყო და მათი სამხედრო ძლიერება — მოჩვენებითი. რუსეთს აღარ შეუძლიან იანგარიშოს არა მარტო არა - რუს ერებზე, არამედ თვით რუსული მასის ერთგულებაზეც, ამის მჭერმეტყველური საბუთია უნგრეთში წითელ - არმიელების აჯანყებულთა მხარეზე „გადარბენა“.

რუსული სამხედრო ძლიერება უფრო დასუსტდება, როდესაც თვით საბჭოთა მოსახლეობა გაიგებს უნგრეთში კრემლის მიერ ჩადენილ სიმხეცეს და ამ მოვლენებზე ნამდვილ და სწორ ინფორმაციას მიიღებს იმ წითელ-არმიელებისაგან, რომელთა საშუალებით მონგოლურ - ბარბაროსული შეუბრალებლობით ასრესინეს ხრუშჩოვის ტანკებს ეროვნული თავისუფლებისათვის აღგზნებული უნგრელი პატრიოტები.

მეთვალყურე

## მჟავანაძე და მისი მოხსენება

(გაგრძელება)

საქართველოში ყოველთვის მცირე ეროვნებათა მოსახლეობა ქართული სტუმართმოყვარეობით სარგებლობდა და არასდროს შევიწროებას არ განიცდიდა არც კულტურის და არც ენის მხრივ. ჩვენს ისტორიულ წარსულში ქართველი მეფეები მათ ყოველნაირ მფარველობას უწევდნენ. დამოუკიდებლობის ხანაში კონსტიტუციის ძალით მათ მინიჭებული ჰქონდათ ყველა ის უფლებები, რაც ქართველებს. არავითარ დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონდა პოლიტიკურ და ეკონომიურ სფეროში. რელიგიურ სფეროში კი სრულის თავისუფლებით სარგებლობდა ყველა სარწმუნოების მიმდევარი. საქართველოს კონსტიტუციით დაზღვეული იყო კულტურული განვითარება მათ მშობლიურ ენაზე.

ხოლო ბოლშევიკები შეეცადნენ და ნაწილობრივად მიზანსაც მიაღწიეს, შუღლი ჩამოეგდოთ ჩვენსა და მათ შორის, ისინი მომხრეებს ვეღარ პოულობდნენ საქართველოში, ეწეოდნენ საზიზღარ პროვოკაციას, ანტი-ქართულ პროპაგანდას, სწორედ ოსის, სომხის და აფხაზის მოსახლეობაში, ამხედრებდნენ მათ საქართველოს წინააღმდეგ, ხშირად აჯანყებასაც კი აწყობდნენ.

ახლაც თუ მათ შორის მართლა უკმაყოფილებას აქვს ადგილი და განზრახ არ არის გამოგონილი ბერიას გასაბათილებლად, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ისე, როგორც ძველი თვითმპყრობელური რუსეთი გვისისინებდა და მტრობას სთესავდა ჩვენსა და სომხებს, ოსებს და აფხაზებს შორის, ისევე ბოლშევიკური რუსეთი მათ ამხედრებს ჩვენს წინააღმდეგ, ვითომ ქართველები მათ ჩაგრავენ ეროვნულად და ამიტომ „მოძმე“ დიდი რუსეთი გამოდის მათ ქომაგად და მფარველად. მჟავანაძე, ნებით თუ უნებლიედ, ამ პროვოკაციის ქსელშია გაბმული, ამაგრებს რუსულ ნაციონალურ პოლიტიკას ერთა ინტერნაციონალური სოლიდარობის ნიღაბ ქვეშ და ასაღებს ამას ლენინის ეროვნულ პოლიტიკად.

მჟავანაძე ამასაც არ ჯერდება და ბრალდებას ბრალდებაზე უდგენს თვით საკუთარ კომუნისტურ პარტიას, რომ მან ჯეროვნად ვერ შეაფასა სტალინის პიროვნების კულტის მავნებლობა, რომელმაც, თუ მას დავუჯერებთ, „ღრმად გაიდგა ფესვი ქართველების შეგნებაში“ და განსაკუთრებით გაზვიადებული მასშტაბი და „ეროვნული ელფერი“ მიიღო საქართველოში. სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ყველა წარმატებას, სამამულო ომის ფრონტებზე მოპოებულ გამარჯვებას, მიღწევებს სოციალისტურ წყობილების განვითარებაში, მარქსისტულ -ლენინური თეორიის დამუშავებაში წარმოიდგენდნენ როგორც სტალინის პირად შემოქმედებას, ხოლო კომუნისტურ პარტიის როლს, წინააღმდეგ ისტორიული ჭეშმარიტებისა, ივიწყებდნენ, არარად აქცევდნენ, სუსტად განუმარტავდით ამას ხალხს. სტალინის პიროვნების კულტი აქტიურად იჩენდა თავს იდეოლოგიის ყველა სფეროში — ქართველ მწერალთა ნაწარმოებში, მეცნიერულ შრომებში. პარტიის ხელმძღვანელობა უგულოდ და უხალისოდ განუმარტავდა მშრომელ ხალხს პარტიის როლს კომუნიზმის მშენებლობაში, პიროვნების კულტის ანტი - მარქსისტულ არსს, იმ დიდ ზიანს, რაც სტალინის კულტმა მიაყენა საბჭოთა ხალხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციონური კომიტეტის პირველი თავმჯდომარე, ფილ. მახარაძე, თავის მოხსენებაში, რომელიც თურმე წარუდგენია მოსკოვისათვის 1921 წლის 6 დეკემბერს, ე. ი. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის 9 თვის თავზე, სწერს: „საქართველოში წითელი (მხედველობაშია რუსული. დ. ს.) არმიის შემოსვლამ და აქ საბჭოთა რეჟიმის გამოცხადებამ მიიღო აშკარა გარეშე ძალის მიერ დაპყრობის ხასიათი, რადგან იმ დროს აჯანყების მოწყობაზე შიგნით არავინ არა ფიქრობდა“.

„საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების მომენტში არ აღმოჩნდა არამც თუ პარტიული იაჩეიკა, არამედ არც ერთი პარტიის წევრი, რომელიც შესძლებდა მოეწყო მმართველობის ორგანიზაცია და ამ საქმეს მოჰკიდეს ხელი უმრავლეს შემთხვევაში საეჭვო და უბრალოდ კრიმინალურმა ელემენტებმა“.

„ჩვენ აშკარად უნდა ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ უკანასკნელ სამ-ოთხ წელიწადში ქართველი მასები შეჩვეულან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებულების იდეას და არ შეიძლება ამას ანგარიში არ გავუწიოთ“.

„სიმართლე უნდა ითქვას, რომ დასაწყისში თითქოს ვიდექით სწორ პოზიციებზე, ყოველ შემთხვევაში, სიტყვერად მაინც. ჩვენ ყველა ვაცხადებდით, რომ საბჭოთა რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ გააუქმებს საქართველოს დამოუკიდებლობას და წითელი არმია მოვიდა მხოლოდ, რათა გაეთავისუფლებინა ქართველი მშრომელი ხალხი იმპერიალისტურ ანტანტის ბრჭყალებისაგანო“.

როგორც ვხედავთ, თვით ქართველი კომუნისტების ლიდერი და საოკუპაციო მთავრობის თავმჯდომარე ადასტურებს, რომ საქართველოში არავითარი შინაგან ცვალებადობას ადგილი არა ჰქონია და ქართული სახელმწიფოებრიობა მოსპო და გადათელა გარეშე, ამ შემთხვევაში, რუსულმა ძალამ.

მოვუსმინოთ კვლავ საბჭოთა ლიდერს.

ლ. ტროცკი, საბჭოთა რუსეთის იმ დროინდელი სამხედრო კომისარი, თავის წიგნში „სტალინ“, ასე აგვიწერს ამ ამბავს: „სტალინს თითქოს დაავიწყდა, რომ 1920 წლის 7 მაისს ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას და 1921 წლის 11 თებერვალს მისი ბრძანებით წითელი არმიის ნაწილებმა გადალახეს საქართველოს საზღვრები. ამის შესახებ პოლიტ-ბიუროს დიდმა უმრავლესობამ არაფერი ვიცოდით და სტალინმა ფაქტის წინაშე დაგვაყენა“ ცხადია, ტროცკის სურვილია, დაამტკიცოს სტალინის არა-კოლეგიალობა და ცუდი ამხანაგობა და მას სრულებითაც არ აწუხებს საქართველოს უფლების გათელვა და მისი დამოუკიდებლობის მოსპობა. ამის შესახებ ის თავის მეორე წიგნში „იმპერიალიზმი და რევოლუცია“ სწერს: „ჩვენ არა ვხედავთ და არც შეგვიძლია დავინახოთ პრინციპიალური წ[illegible] ნაალმდეგობა იმ აქტში, რომ წითელი არმია შევიდა საქართველოში... ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს უარვყოთ, ან შევამციროთ წითელი არმიის დიდი როლი და დამსახურება კავკასიის გასაბჭოებაში“-ო. ხოლო თუ გავიხსენებთ 1922 წელს, როდესაც ამ სიტყვების ავტორი ესტუმრა ჩვენს დედა-ქალაქს, სადაც განაცხადა: ჩვენ არა ვფიქრობთ საქართველოს დატოვებას, მაგრამ თუ მოვლენათა განვითარებამ გვაიძულა აქედან გასვლა, ისე გავიჯახუნებთ კარს, რომ ქვა-ქვაზე აღარ დარჩებაო, მაშინ ნათელი იქნება სურათი, რომ საქართველოს დაპყრობაში კრემლის ყველა ლიდერები ყოფილან შეთანხმებული და მათი იმპერიალისტური ზრახვები მაშინვე გამომჟღავნდა, როგორც კი რუსეთში სამოქალაქო ომი დასრულდა. ფილ. მახარაძეს მოხსენება ხომ აშკარა ღაღადებაა, რომ არ არსებობდა არც ერთი ქართველი, რომელიც მათ მხარს დაუჭერდა და რუსული ჯარის შემოსვლას ენტუზიაზმით შეხვდა და 1921 წლის თებერვალ-მარტში ადგილი ჰქონდა ერთი სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას.

დამარცხებული ქართველი ერი არასოდეს არ შერიგებია დამპყრობელს და არასოდეს არ უცვნია საოკუპაციო ხელისუფლება. ამის დამამტკიცებელია 1921 წლიდან დღევანდლამდე წარმოებული ბრძოლები; პარტიზანული რაზმები, ცალ-ცალკე კუთხეებში თუ საყოველთაო ეროვნული აჯანყებები, ახდილი თუ საიდუმლო ანტი-კომუნისტური მოქმედება და აქტიური თუ პასიური წინაალმდეგობა, რომელსაც ქართველი ერი 36 წლის გასწვრივ აწარმოებს.

ამის დამამტკიცებელია გასული წლის მარტში თბილისის ქუჩებში რუს - ქართველთა ხელჩართული ბრძოლა და იმავე წლის მაისში ქუჩებში გაკრული პროკლამაციები: „ძირს დამპყრობელები, გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას“-ო.

როგორც ვხედავთ, თვით რუსულ საოკუპაციო რეჟიმის დროს დაბადებულ და რუს კომისრების მეთვალყურეობით აღზრდილი ქართველი თაობაც ვერ მოსწყვიტეს ეროვნულ იდეალებს და პირველი შესაძლებლობისათანავე დაიძახა: გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობასო. აქ საქმე გვაქვს ისტორიულად გამართლებულ ქართული ნაციონალიზმის თავისებურობასთან, რომელიც ასაზრდოებს ერს და აძლევს იმ შინაგან მისტერიულ ძალას, რომელიც უჭკნობად ინახავს ქართულ მოდგმას და აძლევს უნარს, რომ საჭირო მომენტში შეტევაზე გადავიდეს და სამშობლოს მარადიულობისათვის თავი დასდოს. გამარჯვების საწინდარიც სწორედ ეს არის. მამულისადმი მიძღვნილ ყოველ ქართველს ეს ასულდგმულებს და აძლევს რწმენას, რომ „ცუდად არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება“ და საქართველო კვლავ აღსდგება, კვლავ განახლდება და დაშენდება თავის ეროვნულ ტრადიციებზე.

## მჟავანაძე და მისი მოხსენება

(გაგრძელება პირველი გვერდიდან)

მჟავანაძის ეს დებულებები სტალინის პიროვნების კულტის შესახებ და განსაკუთრებით, მისი „ეროვნული ელფერობა“ მეტად არა-მარქსისტულია. ჯერ ერთი, მის კულტს არავითარი ეროვნული ელფერი არ ჰქონია, მას თაყვანსა სცემდნენ და ადიდებდნენ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში და არა ნაკლებად ცილდებოდა მის საზღვრებსაც. ხალხი არაფერს შუაშია სტალინის კულტის შექმნაში, ამ ფერხულში ჩაბმული იყო მხოლოდ პარტიის ბიუროკრატია და ის წარმოიშვა საბჭოთა წყობილების წიაღში, მის სინამდვილეში, მისი მასაზრდოებელი კი იყო ანტი-დემოკრატიული კომუნისტური პარტიის დიკტატურა, რომელიც დამყარებული იყო არა მუშათა კლასზე, არამედ პარტიის ბიუროკრატიულ სისტემაზე, არა იდეურ საფუძველზე, არამედ პოლიციურ ძალადობაზე და ტერორზე. და თუ მართლა უნდათ სტალინის კულტი აღმოფხვრან, უწინარეს ყოვლისა, უნდა დაინგრეს ტოტალიზატორული რეჟიმი და განადგურდეს ამ რეჟიმის მასულდგმულებელი კომუნისტური პარტიის ბიუროკრატია, ხალხს მიეცეს დემოკრატიული არჩევნების უფლებები და ის თვით წალეკავს პიროვნების კულტს, ერთპიროვნულ ტოტალიტარულ რეჟიმს, ამ ხელოვნურ პოლიტიკურ ზედნაშენს.

პიროვნების კულტი ტოტალიტარული რეჟიმის ღვიძლი შვილია, ის მომდინარეობს თვით მარქს - ლენინის მოძღვრებიდან და ვისაც სურს მის წინააღმდეგ ბრძოლა, მან პირველად ბრძოლა უნდა გამოუცხადოს თვით ამ მოძღვრებას, მანამდის კი ვერც მჟავანაძე და ვერც ხრუშჩოვი, კრემლში მისი დროებითი პატრონი, ვერ აიცილებენ, ვერც პიროვნულ კულტს და ვერც პიროვნულ დიქტატურას.

ამის შემდეგ მჟავანაძე განაგრძობს „ბურჟუაზიულ“ ნაციონალიზმის გამოვლენის ფორმების კრიტიკას; პარტიისა და მთავრობის ზრუნვის მეოხებით საქართველოში აღიზარდნენ ნიჭიერ მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, მწერალთა, მსახიობთა, მხატვართა მრავალრიცხოვანი კადრები, მათი შრომა ამდიდრებს ჩვენი ხალხის ფორმით ეროვნულ და შინაარსით სოციალისტურ კულტურას. ეს მას მიაჩნია ლენინური პოლიტიკის განხორციელებად, მხოლოდ აღიარეს, რომ პარტია ცუდად იყენებს ამ დიდ ძალას. სუსტად ხორციელდება ინტელიგენციის პოლიტიკური აღზრდაც, მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ „ქართველი ინტელიგენციის ერთ ნაწილში ადგილი აქვს ნაციონალიზმის გამოვლინებებს“.

სამეცნიერო შრომებში და მხატვრულ ნაწარმოებში საქართველოს ისტორიული წარსული ანტიმარქსისტული პოზიციებიდან შუქდება, რაც მჟავანაძეს მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნია. ყოველნაირად გაიდეალებულია მეფეების, მთავრების და მხედართმთავრების მოღვაწეობა და მიჩქმალულია ხალხის, მასების როლი ისტორიაში. (არამარქსისტურიის საკითხები, ისეთ მეცნიერ ისტორიკოსთა შრომებში, როგორიც არიან ივ. ჯავახიშვილი, ბერძენიშვილი, სურგულაძე, დონდუა, ცინცაძე და სხვანი. მათ შრომებში განგებ წაყრუებულია რუსეთთან საქართველოს შეერთების უდიდესი პროგრესიული მნიშვნელობა. შემარიგებლად ეკიდებიან (საყვედური მიმართულია კომუნისტური პარტიის მიმართ) იდეოლოგიურ შეცდომებს კულტურის მთელ რიგ მოღვაწეთა მუშაობაში, მათ სუსტად ეხმარებიან „განთავისუფლდეს სტალინის პიროვნების კულტის გავლენისაგან“.

ქართველი მეცნიერები გულგრილად და ზერელედ იკვლევენ საბჭოთა პერიოდის ისტორიას: 75 დისერტაციიდან, რომელიც დაცულ იქმნა 1940 — 1954 წლამდის საქართველოს აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში, ერთიც არ ყოფილა თანამედროვე, საბჭოთა ხანის, აქტუალსურ საკითხებზე; არც ფილოსოფიის ინსტიტუტს შეუწუხებია თავი, რომ ათი წლის განმავლობაში სერიოზულად დაემუშავებია მარქსისტული ფილოსოფიის საფუძვლები.

ამასთან დაკავშირებით, მჟავანაძეს საჭიროდ მიაჩნია არსებითად გადაისინჯოს სამეცნიერო კვლევითი ნაშრომების თემატიკა, განსაკუთრებით საზოგადოებრივ დისციპლინებში, რათა ისტორიკოსების, ფილოსოფოსების, ეკონომისტების კვლევა-ძიება წარიმართოს სოციალისტურ მშენებლობის განვითარებისათვის. ერთად-ერთ ამოცანად მან დაუსახა ქართველ ისტორიკოსებს უახლოეს დროში საქართველოს ისტორიის მარქსისტულ სახელმძღვანელოს, ე. ი. „აკადემიკოს“ ხაჭაპურ-ისტორიისა.

მჟავანაძის აზრით, არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს ,რომ ქართულ ენაზე მეტად მცირე რაოდენობით ითარგმნება მოძმე ხალხების მწერალთა ნაწარმოები. ის დალონებული ჩივის, რომ რუსული ენის სწავლება ქართულ სკოლებში სუსტად არის დაყენებული და საჭიროდ სთვლის გაძლიერდეს, ვინაიდან რუსული ენის ცუდად ცოდნა ხელს უშლის სტუდენტობას და სპეციალისტებს გამოიყენონ ცოდნის ის უდიდესი საგანძური, როგორიც არის დიდ რუსი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურა.

მოხსენების შემდეგ გამოვიდა მთელი რიგი ორატორებისა. მათ შეუცვლელად და განუხრელად გაიმეორეს ყველაფერი ის, რაც მჟავანაძემ სთქვა, როგორც გულმოდგინე მედავითნეებს შეეფერებათ (თუმცა მედავითნეობა არა ერთხელ ყოფილა პარტიის მიერ დაგმობილი). დიდი ხანი გავიდა ამ პლენუმის შემდეგ, მაგრამ კამპანია სტალინ-ბერიას წინაალმდეგ დღემდის გრძელდება და .არავინ იცის, როდის დასრულდება. ყოველ კრებაზე გაზეთის ყოველ სტატიაში ყოველდღიურად იმეორებენ მჟავანაძის მოხსენების დებულებებს, თითქმის ერთი და იგივე მოსაწყენი გამოთქმით. ეს ჩვენთვის ნაკლებ საყურადღებოა, — ბერის-სტალინს ყურები საითაც უნდათ , იქით გამოაბან, ხანადიდონ, ხან აძაგონ, — ესმათი შინაური საქმეა. ხოლო, როცა ქართულ ნაციონალიზმს ებრძვიან და აქ „მოძმე“ დიდი რუსეთის კულტურას იშველიებენ ქართველი ერის ეროვნული თვითარსებობის მოსასპობად, ეს მთლიანად ქართველი ხალხის საქმეა და ჩვენ დარწმუნებული ვართ, ამ ბრძოლიდან მარადი საქართველო გამარჯვებული გამოვა.

და მაშინ, მხოლოდ მაშინ ეჟავანაძის მოსსენება, მისი ანტიეროვნული მოღვაწეობა, საქართველოს საკითხების რუსული ნაციონალური ბოლშევიზმის თვალსაზრისით დაფასება, პატარა ეპიზოდი იქნება დაპყრობილი საქართველოს ისტორიიდან, მჟავანაძის პიროვნება კი ავად მოსაგონარი.

ს. ჭირაქაძე.

## ომისა და ზავის საკითხები

ჩვენმა თაობამ, გარდა მრავალი ლოკალური ხასიათისა, ორი მსოფლიო ომიც იგემა. ამიტომ მას სრული წარმოდგენა აქვს მასზე, რათა ერთხელ კიდევ მსგავსი განცდების სურვილს მოკლებული იყოს. სტატისტიკის მიხედვით, უზომო ნივთიერი და კულტურული დოვლათის განადგურებასთან ერთად, პირველმა ომმა იმსხვერპლა 12, მეორემ კი 57 მილიონი ადამიანის სიცოცხლე. იმავე დროს, ერთად-ერთის გამოკლებით, რაც ჰიტლერისა და მისებრ ორიოდე დიქტატორის დაცემაში გამოიხატა, ამ ომებმა ვერც ერთი მისი გამომწვევი პრობლემა ვერ გადასჭრა. პირიქით, პირველმა ნიადაგი მოუმზადა მეორე ომს, თანაც წარმოშვა ორი უსაშინელესი ტირანია. მეორემ კი, მართალია მოსპო ერთი, მაგრამ გაზარდა, გააძლიერა მეორე, პირველზე უფრო სასტიკი და დაუნდობელი, რაც ფათერაკად აწევს დღეს მთელ კაცობრიობას და მას მესამე ომით ემუქრება.

აქედან მხოლოდ იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ რაიმე რთულ საერთაშორისო ხასიათის პრობლემის, როგორიც არის ქვეყნის დაწყნარება, მოგვარების მეთოდით ვერ ჩაითვლება. უზომო ზარალის ფასით ის შეიძლება სპობდეს ერთს, მაგრამ იმავე დროს აჩენს მეორე ფათერაკს, თუ უარესს არა, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ რთულს და თავსატეხს. ამიტომაც არ არსებობს არავითარი გარანტია, რომ ომი მსოფლიოს დღევანდელ დახლართულ კვანძს გახსნის, მის უამრავ ჭრილობებს მალამოდ დაედება. მიუხედავად იმისა, რომ ომი, როგორც დიდი სადავო საკითხის გადაჭრის საშვალება, ხმარებიდან განდევნილი არ არის და მუდამ სახალხთაშორისო დაძაბულ ურთიერთობაში თავჩენილ კრიზისების დროს (უკანასკნელად სუეცის კონფლიქტი), კაცობრიობას დამოკლეს ცელად ევლინება.

პოლიტიკურ სფეროში რაიმე პროგნოზების კეთება, რამდენად ის ზუსტი მეცნიერების გარეშე სდგას, მუდამ უმადურ ხელობად ითვლება. მით უფრო ძნელია ეს დღეს, საერთაშორისო ურთიერთობაში საუკუნეობით განმტკიცებულ მრავალ ფასთა გადაფასების ხანაში, როდესაც არა თუ ჩვენ, მოვლენათა მხოლოდ გარეშე მეთვალყურეთ, არამედ დიდი პოლიტიკის თვით უბრალო მჭედელთაც კი უჭირთ ხვალინდელი დღის განსჭვრეტა და ვარაუდით გაზომოს თუ რა მიმართულებას მიიღებს გიგანტთა დღევანდელი ჭიდილი; დამთავრდება ის მსოფლიოს დაზავებით, თუ ცაზე უხვად ჩამოწოლილი შავი ღრუბლები ჭექა-ქუხილმა უნდა გადარეკოს.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შევეცდებით არსებული პირობების მოკლე ანალიზით გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნები. აქვს მართლა რაიმე სერიოზული საფუძველი ახალი ომის საშიშროებას,, თუ ის მოცლილი ფანტაზიის დაფეთებული გონების ნაყოფია?

ე. რ.

(გაგრძელება იქნება)

## პრესის მიმოხილვა

**გერმანია.** დასავლეთ გერმანიის წყაროების მიხედვით, ანტი-კომუნისტური მოძრაობა მოედო მთელ საბჭოთა მოსახლეობას და მის ყოველ ფენას. გასული კვირის განმავლობაში ურალის მუშებმა თურმე გაბედეს ხმის ამოღება და მოუთხოვიათ, რომ „მთავრობამ გააფართოოს მათი უფლებები და მათ შეუქმნას შრომის ნორმალური უფლებები“.

იმავე წყაროს მიხედვით, „ლენინგრადში, ხარკოვში და თბილისში მოეწყო სტუდენტების მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია, მოუთხოვიათ, რომ მთავრობას სიმართლე ეთქვა ხალხისათვის უნგრეთის აჯანყების შესახებ, რომელიც საბჭოთა ტანკებმა გასრისაო“.

„კარპატის უკრაინელებში საიდუმლო პოლიციამ დაატუსაღა მოქალაქეთა მნიშვნელოვანი რიცხვი, რადგან იქ მოეწყო თავისუფლებისათვის მებრძოლ უნგრეთის სასარგებლო დემონსტრაცია“.

დასავლეთ - ბერლინის გაზეთ „ტელეგრაფის“ ცნობით, დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის მომხდარა ინციდენტები“.

**„ჩიკაგო დეილი ნიუსის“** 19 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულია საინტერესო ცნობა საბჭოთა მოსახლეობის განწყობილების შესახებ.

გაზეთის აზრით, „დასავლეთის დიპლომატიურ წრეებში გაბატონებულია აზრი, რომ რუსულ მოზარდ-თაობაში დიდი სიმპატია და თანაგრძნობა გამოიწვია უნგრეთში სტუდენტების მიერ დაწყებულმა აჯანყებამ, რადგან მათ დაინახეს, რომ აჯანყების ტალღა უფრო ღრმა იყო, ვიდრე ქართველი სტუდენტების აჯანყება თბილისში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ წლის დასაწყისში“-ო.

ერთი დიპლომატის ცნობით, „კომუნიზმის კრიზისი ედება მთელ კომუნისტურ სამყაროს, გადადის ერთი ქვეყნიდან მეორეზე და ამას ძლიერად განიცდის რუსეთი“-ო.

ახალგაზრდა კომუნისტური ორგანოს“ ცნობით, „ახალგაზრდობა გაურბის ორგანიზაციის რიგებს და სტოვებს აქტიურობას“. ლიტვაში, ლატვიაში, არხანგელსკში და მრავალ სხვა რაიონებში, გასულ წელთან შედარებით, განახევრდა კომუნისტური ახალგაზრდობის რიგები“-ო.

„თბილისის სკოლები იმყოფებიან პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ, რომელთა უკმაყოფილება გადაედო მოსკოვის მოსწავლე ახალგაზრდობასაც“.

„მოსკოვის მოსწავლე ახალგაზრდობა,— დაეჭვებული კომუნისტურ დოქტრინაში — უფრო მეტ ახსნა - განმარტებას მოითხოვენ თავის მეთაურებისაგან, ვიდრე ამას ოფიციალური წყაროები იძლევიან“-ო.

„უნგრეთის აჯანყების შემდეგ, რომელიც სტუდენტების ინიციატივით და შთაგონებით დაიწყო,—მოსკოვის „პრავდა“ თითქმის ყოველდღე თავის მეთაურში იხსენიებს ახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

### პრესის მიმოხილვა
(გაგრძელება)

გაზრდობის პარტიიდან განდგომას და მოუწოდებს „უკან დაბრუნდნენ და შეასრულონ პატრიოტული მოვალეობა“.

უნგრეთის ანტიკომუნისტური აჯანყება კრემლმა ფაშისტების და ამერიკელების აგენტების მოწყობილად გამოაცხადა, მაგრამ საბჭოთა მოსახლეობა დიდი ხანია შეეჩვია „სტრიქონებ შორის ამოკითხვას“ და ამიტომ მათი აღარა სჯერა. დღეს თვით საბჭოთა მოსახლეობისათვის ნათელია, რომ დაიწყო კომუნისტური სამყაროს უძლიერესი კრიზისი.

**„ჩიკაგო დეილი ნიუსი“** 20 დეკემბრის ნომერში აქვეყნებს დასავლეთ- გერმანიიდან მიღებულ ცნობას, რომელთა მიხედვით საბჭოთა რეჟიმის საწინააღმდეგო დემონსტრაციები და გაფიცვები მთელ მოსახლეობას მოედო.

გაზეთის ცნობით, ხელისუფლებას სერიოზული უსიამოვნო მომენტები ჰქონია უკრაინის სხვა და სხვა ქალაქებში, ურალში და თვით მოსკოვშიც.

„მთავრობის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სტუდენტების მღელვარებამ, რომელმაც სერიოზული ხასიათი მიიღო რევალის, ვილნას, თბილისის და მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში“.

„საბჭოთა საგარეო მინისტრს, დიმიტრი შეპილოვს მოსკოვის სტუდენტებმა უყვირეს „ძირს“, როდესაც ის სტუდენტების საჯარო კრებაზე შეეხო მათ კონტრ-რევოლუციონურ ტენდენციას„.

ასეთივე ბედი ეწვია რევალისა და ვილნას უნივერსიტეტში საპროპაგანდოდ მისულ ადგილობრივი კომუნისტური პარტიის ლიდერებს“.

„საბჭოთა კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრს, ეკატერინე ფურსცევს, პოლიციის დახმარება დასჭირდა მოსკოვის კაგანოვიჩის სახელობის ქარხნიდან მშვიდობით გამოსასვლელად“-ო.

**„ილინოის სტეიტ ჟურნალ“**-ის 18 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო მეტად საინტერესო წერილი სათაურით: „ამჟამად საბჭოთა კავშირს აწუხებს ორი იზმი“. ლიდერების წრეებში გამომჟღავნებულია 2 მნიშვნელოვანი „იზმი“; ეს არის ბურჟუაზიული ნაციონალიზმი“ და „დევიაციონიზმი“. „ბურჟუაზიული ნაციონალიზმი“ საბჭოეთში იხმარება იმ შემთხვევაში, როდესაც მჟღავნდება არა-რუს ერთა ნაციონალიზმი და პატრიოტიზმი, რომელიც კრემლს არ მოსწონს და რომელიც მიმართულია და იბრძვის რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ. როდესაც ჩიპრის კუნძულზე პატრიოტები ჰკლავენ ბრიტანელ ჯარის-კაცებს, კომუნისტებისათვის ეს პატრიოტული აქტია, ხოლო, როდესაც უნგრელი ნაციონალისტები ეროვნული თვითარსებობისათვის თავგანწირულად ებრძვიან რუსის ჯარს, ამას მოსკოვი „ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს და შოვინიზმს უწოდებს“.

„დევიაციონიზმი შეიცავს დამოუკიდებელი ფიქრისა და აზროვნების ყოველგვარ მანიფესტაციას, რომელიც ვერ ეგუება და ვერ იტანს იმ ოფიციალურ დოგმატიურ პოლიტიკას, რომელიც კრემლმა ყველა თავის მორჩილებაში მყოფ ხალხისათვის დაიმუშავა და მისადმი მორჩილებას ავალდებულებს“.

„რამოდენიმე დღის წინ, საბჭოთა კომუნისტური პარტიის ავტორიტეტული ორგანო „კომუნისტი“ სწერდა: „სოციალისტური სამყაროს მტერია ყველა ის, ვინც პიროვნულ შეცდომებზე თამაშობენ და აქედან ცდილობენ შექმნან ნაციონალისტური და ნაციონალეგოისტური განწყობილება; აამხედრონ ერთი სოციალისტური მხარე მეორეს წინააღმდეგ და ამ მოვლენებში ჩახლართონ და დააბნიონ ინტერნაციონალიზმი“-ო. ერთ მეთაურში „პრავდა“ აცხადებდა, რომ უკანასკნელ დღეებში „იმპერიალიზმის თავდასხმის და თითქოს ეროვნული კომუნიზმის მფარველობის მიზანია ყოველი შესაძლებლობით დაიცვას ნაციონალიზმი, დაარღვიოს მშრომელი ხალხის ერთობა და მათი სოლიდარობა“. ახლო წარსულში მოსკოვმა შეუტია საბჭოთა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში გამომჟღავნებულ „ბურჟუაზიული ნაციონალიზმის იდეოლოგიას“. ლიტვის კომუნისტური პარტიის ლიდერი უკმაყოფილოა და ენერგიულად ებრძვის თავის ხალხში გამომჟღავნებულ „ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს“. საზოგადოდ საბჭოთა კომუნიზმის ლიდერები დაუზოგველად ებრძვიან ყველა ქვეყნებში გამომჟღავნებულ „ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს“ და ეს მათი თანამედროვე პროპაგანდის მთავარი ამოცანაა.

„დევიაციონიზმთან უწყალო ბრძოლასთან ერთად, კრემლი მოუწოდებს მის მორჩილებაში მყოფ მოსახლეობას, რომ მათ შეითვისონ და აღიარონ მოსკოვური დოგმა და იდეოლოგია. ამის გამო „პრავდა“ სწერდა: „ბიჭებო, შეიძლება გადახვედით საზღვარს, მაგრამ უნდა დაბრუდეთ უკან“-ო კრემლს მრავალი მიზეზი აქვს, რომ ასე შეუბრალებლად და ენერგიულად ებრძოლოს „ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს და დევიაციონიზმს.

„უნგრეთის სისხლიანი აჯანყება, პოლონეთში „ეროვნული კომუნისტური რეჟიმის დამყარება, აღმოსავლეთ ევროპის „სატელიტურ“ ქვეყნებში და თვით საბჭოთა მოსახლეობის მღელვარება და უკმაყოფილება მაღალი ხარისხის პატრიოტიზმის და ნაციონალიზმის ძლიერი გამომჟღავნებაა და კრემლს გაკაპასების მიზეზებს მრავლად აძლევს“-ო.

ის გარემოება, რომ კრემლი ცდილობს ეროვნული მოძრაობის ჩაკვლას და ვერ ახერხებს, ის გარემოება, რომ ის ცდილობს ძირგამომთხრელი მუშაობით და მეხუთე კოლონებით დაასუსტოს და დაარღვიოს დასავლეთის ერთა სოლიდარობა და კოლექტიური თავდაცვის პრინციპი და ვერ ახერხებს, იმის დამამტკიცებელია, რომ ერის უზენაესი სასიცოცხლო ინტერესები უფრო ძლიერია, ვიდრე დამპყრობელების მრისხანება.

რუსული ჩექმის სიმწვავეს უძლებს ეროვნულ-დამოუკიდებლობის იდეა და მას ვერა ჰკლავს ვერც ტანკი, ვერც ზარბაზანი, ვერც ტყვია-მფრქვევი და ნაციონალიზმის სიმტკიცის წინაშე ქედს იხრის და ირღვევა რუსული, ამ შემთხვევაში კომუნისტურად წოდებული იმპერიალიზმი და მისი მფარველი ძალები.

### რედაქციისაგან

„ქართული აზრი“-ს ერთი წლის არსებობამ საკმაოდ დაამტკიცა მისი რედაქციის ურყევი გადაწყვეტილება, რომ მისი მიზანია დაიცვას საყოველთაო ეროვნული პოზიციები, მიუდგომლად ასახოს საერთაშორისო ხასიათის მოვლენები და აქედან წარმომდინარე მწუხარება და იმედი თავის მკითხველს გააცნოს.

მაგრამ, როგორც ქვემორე წერილის ავტორი ბრძანებს, არის გარემოება, როდესაც სიჩუმე დანაშაულში გადადის. ჩვენი აზრით, აქ სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რადგანაც საქართველოს დამოუკიდებლობა, მისთვის წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლები და დაქცეული ზღვა-სისხლი „რუსული დემოკრატიული ფრონტი“-ისათვის შეწირულად ცხადდება.

— რათა ერთხელ და სამუდამოდ აღდგენილ იქმნეს ჭეშმარიტება და მოვლენების სრული და უტყუარი ვითარება თანამედროვებამ გაიგოს, ამიტომ წინადადებას ვაძლევთ იმ ეპოქის მოღვაწეებს, რომელნიც მიძღვნილნი იყვნენ სწორედ ამ საქმიანობას, კამათის სავალდებულო ფორმისა და ზომიერების დაცვით გამოსთქვან თავისი აზრი და აღადგინონ მოვლენების ნამდვილი სურათი.

ამით მემატიანეს გავუადვილებთ მოვალეობის პირნათლადასრულებას, ხოლო დაინტერესებულებს მოესპობათ შესაძლებლობა ივაჭრონ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეით და შეურაცყოფა მიაყენონ სამშობლოსათვის აღსრულებულ საამაყო მამულიშვილების ხსოვნას.

ამ მოსაზრებით ვბეჭდავთ ბატონ დ. საღირაშვილის ამ პირველ წერილს. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ავტორი არა მარტო იმ დროინდელი მოღვაწეა, არამედ იმ დროს ეკუთვნოდა სწორედ იმ წრეს, რომელსაც ბ-ნი გრ. ურატაძე და მისი უახლოესი თანამშრომელიც იყო ზოგიერთ დელეგაციებში.

### ბიბლიოგრაფია

#### ქართული საქმისათვის მავნე რუსული წიგნაკი.

**„გრ. ურატაძე: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება და მისი კონსოლიდაცია“. მიუნხენი, 1956 წ.**

„ქართული აზრი“ არაა განკუთვნილი ემიგრაციაში პარტიათა ჯგუფთა შორის ბრძოლაში მონაწილეობისათვის. გაზეთი დღიდან დაარსებისა გაურბოდა ასეთი სახის წერილების დაბეჭდვას. მაგრამ, როცა საქმე ეხება ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესს, აქ გაჩუმება ქართული ბეჭდვითი ორგანოს დანაშაულად ჩაეთვლება.

გრ. ურატაძის ხსენებული წიგნაკი მოითხოვს ვრცელ პასუხს, ასეთივე ზომის შრომის დაწერას, რომელსაც ვამზადებ და, იმედია, ახლო მომავალში შევძლებ მის გამოქვეყნებას. ამჟამად შევეხები მხოლოდ ამ ახირებული შრომის ზოგიერთ მომენტს. ჯერ კი უნდა წინასწარ შევნიშნო, რომ გრ. ურატაძე დღიდან ემიგრაციაში მოსვლისა რაღაც გაუგებარი დაჟინებით ცდილობს არა-რუს ერების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას მნიშვნელობა დაუკარგოს, გააბათილოს იგი. ჯერ იყო და რუსულ ჟურნალ „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“-ში (იხ. 1950 წლის მარტი,

(გაგრძელება მეოთხე გვერდზე)

## საით მიდის კავკასია?

**5. კონფედერაციის გზაზე.**
(იხ. „ქართული აზრი“ № 9, 10, 11, 12.)

კავკასიის ნაციონალური რესპუბლიკების ბოლშევიკურ რუსეთის მიერ დაპყრობის შემდგომ, 1921 წ. ევროპაში გაჩნდა პირველი ტალღა კავკასიის ემიგრაციისა, მის ყოფილ მართველ ეროვნულ - პოლიტიკური ელიტის სახით.

იმ დროიდან კავკასიის სახელმწიფოთა პასუხისმგებელი ხელმძღვანელი წრეები და მოღვაწენი საზღვარგარეთ ახდილად დგებიან კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური ძალების გაერთიანების გზაზე თავისი ერებისმოსკოვის უღლისაგან განსათავისუფლებლად და მომავალ თავისუფალ კავკასიაში საერთო საკავშირო სახელმწიფოს დაარსებისათვის.

ამ გამაერთიანებელ მოძრაობას ამოწმებს მთელი რიგი გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტებისა და მასალებისა კავკასიელთა პრესაში მეორე მსოფლიო ომამდე. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან აქტებად შეთანხმებისა ითვლება: 1921 წლის 10 ივნისისა პარიზში; 1924 წლის 23 სექტემბრისა პარიზში; 1924 წლის 1 ნოემბრისა კონსტანტინეპოლში; 1934 წლის 14 ივლისისა ბრიუსელში. უკანასკნელი დოკუმენტი, ცნობილი „კავკასიის კონფედერაციის პაქტი“-ს სახელით, აგვირგვინებს კავკასიის ერთა წარმომადგენლების შეთანხმებებს კონფედერაციის ორგანიზაციის საფუძლების მიღებით.

მეორე ომის პროცესში კავკასიის ოთხთა ქვეყნის პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლობამ გაიგო რა, რომ გერმანიის სამხედრო გეგმაში შედის თავისი ჯარებით კავკასიის დაჭერაც, სცდილობდა საერთო მიმართვებით გაეცნო ჰიტლერის მთავრობა თავის ერთა პოლიტიკური ლტოლვანი კავკასიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის და მათი რესპუბლიკების გაერთიანებისა ერთ კავშირში. 27 აგვისტოს 1944 წ. კავკასიის ოთხთა რესპუბლიკის წარმოადგენელთა ხელმოწერით გერმანიის მთავრობას წარედგინა ამისი მემორანდუმი, მაგრამ ის არ იქმნა მიღებული.

ომის დათავების შემდეგ წლებში კავკასიის პოლიტიკური ემიგრაცია კვლავ ცდილობს თავი მოიყაროს და განაგრძოს ერთობითი კავკასიის აქციის გამაგრება. 1948 წ. ზაფხულში, პროფესორ მიხეილ ახმეტელმა ქართველთა და კავკასიელთა კრებებზე, ქართულ და რუსულ ენაზე წაიკითხა მოხსენება კავკასიის სახელმწიფოთა გაერთიანებაზე კონფედერაციის ჩარჩოში. ამ საინტერესო მოხსენებიდან მოგვყავს ზოგი მთავარი მისი დებულებანი ამ დროის მსოფლიოს ახალი პირობების ასპექტში, **რომელნიც აძლიერებენ კავკასიის კონფედერაციის ადეოლოგიის პოზიციებს.** იგი ამბობს:

„პირველმა და, უმთავრესად, მეორე მსოფლიო ომმა მოახდინა მრავალმხრივი უაღრესი რევოლუცია კაცობრიობის ცხოვრებაში. მსოფლიო შეიკუმშა; სახელმწიფოები ყოველმხრივ ერთმანეთში ვიწროდ გადაიხლართა. დიდი სისწრაფით ხდება ფინანსიურ-ეკონომიური და პოლიტიკურ - მილიტარული ძალების კონცენტრაცია. დღეს მხოლოდ დიდ სახელმწიფოებს აქვთ საშუალება უახლოეს საიარაღო ტეხნიკის გამოყენება. მსოფლიო პოლიტიკური ვითარება ღებულობს გლობალურ ორგანიულ ხასიათს.

მეორე მხრივ, ხდება ერთგვარი ატომიზაციის პროცესი. საშუალო და პატარა ქვეყნები იბრძვიან თავიანთი ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებელი არსებობის შესანარჩუნებლად. პოლიტიკური სისუსტე აიძულებს მათ თავიანთი სუვერენული უფლებები მსხვერპლად გაიღონ და რეგიონალურ ფარგლებში შეკავშირდნენ. ჰქმნიან ფედერაციებს, კონფედერაციებს სხვა და სხვა კონსტიტუციანულ სტრუქტურით, რომლის საფუძვლად ედება უმთავრესად საერთო საგარეო-სამხედრო და ფინანსიურ-ეკონომიური პოლიტიკა. ამ გზით ეს სახელმწიფონი ცდილობენ თავიანთი განცალკევებული სუსტი პოზიციები გაიმაგრონ.

საქართველო, საუბედუროდ, არ წარმოადგენს იმ გეოგრაფიულ-ტერიტორიალურ, ეკონომიურ, კომუნიკაციურ და საერთოდ გეოპოლიტიკურ ერთეულს, რომ მან მხოლოდ თავის მნიშნელობით და ძალებით თავისი უძველესი სახელმწიფოებრიობა აღადგინოს და დაიცვას. უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში საქართველოს თავისი სახელმწიფოებრიობა რომ კიდეც შეენარჩუნებინა, ის მაინც დღეს იძულებული იქნებოდა მეზობელ ერებთან შეკავშირების გზას დასდგომოდა.

მხოლოდ კავკასიის კონფედერაციის ნიადაგზე შეუძლიან საქართველოს, და მით უმეტეს, კავკასიის დანარჩენ ერებს, თავისი სახელმწიფოებრის აღდგენა, განმტკიცება და დაცვა. რომ ერის ნაციონალური პოლიტიკა სპეკულატურ გზას ასცდეს, ჩვენ ეს რეალობა უნდა შევიგნოთ და შესაფერი დასკვნები გამოვიტანოთ.

კავკასიური კონფედერაცია შეიძლება იყოს მრავალფეროვანი კონსტიტუციონალურ შინაარსისა: ერთმხრივ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირი და მეორე მხრივ ფედერატიული საკავშირო სახელმწიფო.

ჩვენი მისწრაფება უნდა იყოს: ყოველივე სტრუქტურული საშუალებათა ამოწურვით შევძლოთ სახელმწიფოთა კავშირის შექმნა. ყოველ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს უფლებრივი შესაძლებლობა თავისი შინაური ცხოვრება, თავისი მართვა-გამგეობა, სოციალური, სულიერ-კულტურული ვითარება ისე მოაწყოს, როგორც მის ერსა სურს. მსოფლიო სამეურნეო ურთიერთობას გადაკვანძვა აიძულებს კავკასიის კონფედერაციას გარეშე ქვეყნების წინაშე ერთ მთლიან ერთეულად წარსდგეს; უკვე კავკასიის საკომუნიკაციო მდგომარეობა და როლი აუცილებლად ჰხდის საერთო, საბაჟო, სატარიფო და ფინანსიურ-ვალიუტურ პლატფორმის შექმნას. ამ გზაზე მეზობელი ერები უკვე ძველად დგებოდნენ. დღეს ამ გვარ კონვენციების შეკვრა ფართე ხასიათს ღებულობს.

მაგრამ უმთავრესი წინამორბედი ძირითადი პირობა და საფუძველი კავკასიის კონფედერაციისა, მისი შენარჩუნებისა და გამაგრებისა არის საერთო საგარეო პოლიტიკა, საერთო ორიენტაცია კავკასიის სახელმწიფოებისა. ორიენტაცია კავკასიაზე, — აი ეს უნდა იყოს დოგმა კავკასიის ერების პოლიტიკური სულისკვეთებისა.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ დღეს კავკასიაში მებატონე საბჭოთა რუსეთის მოსკოვიტური ტერორის ქვეშ მოქცეული კავკასიის ერების წიაღში მაგარი სეპარატისტული სულისკვეთება შეიქმნა. მათი აზროვნება მიმართულია არამც თუ მოსკოვის უღლის მოშორებისაკენ, არამედ მათში აგრეთვე განვითარდა კავკასიური თვითშეგნება, პატრიოტიზმი და სოლიდარობა. ამრიგად ადგილობრივად, კავკასიაში, უკვე ეყრება სანატრელი საფუძველი კავკასიური კავშირისა. თვით საბჭოთა მეცნიერები ახასიათებენ კავკასიას, როგორც განსაკუთრებულ, მთლიან გეო-ეკონომიურ ერთეულს. და საფიქრებელია, რომ მსოფლიო პოლიტიკური ძალები, მათი ინსტიტუციები იძულებულნი შეიქმნებიან კავკასიის კონფედერაციის შექმნას ხელი შეუწყონ; და ეს მით უფრო, რამდენად ისინი მსოფლიოში მშვიდობიანობის დამყარებისათვის პოლიტიკურ როლს შეიგნებენ“.

1952 წლის 11—16 დეკემბერს ქ. მიუნხენში თავი მოიყარეს კონფერენციაზე ქართველ-აზერბეიჯანელ და ჩრდილო-კავკასიელი პასუხისმგებელმა პოლიტიკურმა წარმომადგენლებმა და კვლავ აღადგინეს ომამდე არსებული „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი“ საერთო მიზნების მიღწევისათვის. გამოქვეყნებული დეკლარაცია აცხადებდა, რომ ხსენებული ორგანიზაცია საზღვარგარეთ განაგრძობს მუშაობას კავკასიის ერების განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერებისასათვის და კავკასიის ოთხ სახელმწიფოთა — აზერბეიჯანის, სომხეთის საქართველოს და ჩრდილო- კავკასიის რესპუბლიკების — სუვერენიტეტის აღდგენისათვის. კავკასიის ეროვნული განთავისუფლების შემდგომ, კონფერენცია აუცილებლად სთვლის მათი მჭიდრო დაკავშირებას „კავკასიის კონფედერაციის“ საფუძველზე.

ყველა ზემოაღნიშნული საბუთები უდავოდ ამოწმებენ, რომ თანამედროვე მსოფლიო ძალთა მძაფრ ჭიდილში, როდესაც მცირე - კავკასიის ერების ყოფნა არ-ყოფნის ბედი სწყდება, მათ ახლანდელ წინამძღოლ წრეებს ღრმად აქვს შეგნებული ძველი ისტორიისაგან ნაკარნახევი ანდერძი და საერთო ძალ-ღონით ცდილობენ თავის საერთო სამშობლო კავკასიის მომავლის ამ მხნელ გზაზე დაყენებისათვის. აქეთ მიდის კავკასიის ახალი ისტორიაც...

**დ. ვაჩნაძე.**

## პარიზიდან გვატყობინებენ

ქართული ეროვნული ცენტრისა და პოლიტიკურ- კულტურული კავშირის საკოორდინაციო ბიუროს ინიციატივით, 12 იანვარს 1957 წ. პარიზში მოწვეულმა საზოგადო კრებამ, გაეცნო რა მიუნხენში გამოსულ ბ. გრიგოლ ურატაძის წიგნის, (გამოცემული ბ. რაჟ. არსენიძის რედაქტორობით) **„ობრაზოვანიე ი კონსოლიდაცია გრუზინსკოი დემოკრატიჩესკოი რესპუბლიკი“**-ს შინაარსს, ერთხმად მიიღო რეზოლუცია,, რომელშიც დიდი უკმაყოფილებით აღნიშნავს ავტორის მიერ ამ რუსულ წიგნში „შეურაცმყოფელი და ქართველი ეროვნული ღირსებისათვის დამამცირებელი ცრუ ინფორმაციის მოწვდომას უცხო მკითხველისათვის“. ამის თაობაზე დაბეჭდილ „რეზოლუციაში“ ვკითხულობთ შემდეგ პასუხს: ამ წიგნის ავტორი ამბობს, რომ:
რომ 1. საქართველო მე-19 საუკუნის დასაწყისში თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს. მაშინ, როდესაც საქვეყნოდ ცნობილია, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია იყო ცალმხრივი ძალადობითი აქტი.
რომ 2. საქართველოში არ არსებობდა არც ერთი წრე ქართული საზოგადოებისა, რომელიც ყოფილიყოს მომხრე საქართველოს დამოუკიდებლობისა. ეს სიცრუვე უარჰყოფს მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართველი ერის მიერ წარმოებულ ბრძოლებსა და გაღებულ მსხვერპლს დამოუკიდებლობისათვის. უარჰყოფს მთელ რიგ ფაქტებს საერთაშორისო ხასიათისა. მაგ.: 1907 წ. რუსეთის საშინელი რეაქციის დროს საქართველოში, საართველოს მოწინავე წრეების მიერ ხელმოწერილი მემორანდუმი იქმნა მიცემული ჰააგის კონფერენციისადმი, სადაც მოთხოვნილია 1783 წლის ხელშეკრულების განაღდება, რაც გულისხმობს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

1916 წ. ლოზანაში შეკრებილ ერთა კონფერენციაზე, საქართველოს წარმომადგენლებმა მოითხოვეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

1914—18 წლ. მსოფლიო ომის დროს გერმანიამ თავისი მოკავშირეებით წინასწარ იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელიც იყო შედეგი უცხოეთში არსებული საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მუშაობისა. ეს კომიტეტი მაშინ კავშირში იყო საქართველოში არსებულ პოლიტიკურ წრეებთან და მათი ბრძოლა ცნობილი იყო თვით სოციალ - დემოკრატების მეთაურთათვისაც.

აქედან მკითხველი დაინახავს, რომ მდგომარეობა იყო სულ სხვა: ე. ი. მთელი ერი დიდი ალტაცებით ემზადებოდა, რომ ხელსაყრელ შემთხვევაში თავისი საუკუნეებრივი ნანატრი თავისუფლება მოეპოებინა.

ჭეშმარიტება ეს არის!.. ხოლო დღეს, როდესაც ქართველი ერი თავგანწირვით იბრძვის რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ, ასეთი გამოსვლა, და ისიც რუსულ ენაზე, არის ეროვნულ ინტერესთა ღალატი და ის მთელმა ქართველობამ სასტიკად უნდა დაჰგმოს, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს“, ასკვნის თავის რეზოლუციას ქართული ეროვნული ორგანიზაციების კრება პარიზში.

## განცხადება

სრული ორი წელიწადი შესრულდა, რაც შ. შტატებში არსებულ ქართულ სათვისტოში ბრალდება წაუყენა ქ-მა ედნამ (ჯ. დადიანის ყოფ. მეუღლემ) თავის ყოფ. ქმარს და მის მეგობარს ს. სულხანიშვილს. მან განაცხადა, რომ თავისი ქმრის და მისი მეგობრის ჩაგონებით ამერიკულ ადმინისტრაციის წინაშე აბეზღებდა ქართველებს და კერძოდ „ამერიკის ხმის“ ქართული განყოფილების თანამშრომლებს.

„ჩემი ქმარი და მისი მეგობარი მაჯერებდნენ, რომ მათ სარწმუნო წყაროებიდან იციან და ცოცხალი მოწმებიცა ჰყავთ, რომ ეს ხალხი ჩამოსულია ამერიკაში საბოტაჟისა და ძირგამომთხრელი მუშაობისათვის და მე როგორც ამერიკელი, ვასრულებდი ჩემს მოვალეობას“-ო.

დაბეზღებულთა შორის აღმოჩნდნენ: განსვენებული ალ. ცომაია, ექ. დ. ჩატარა და დ. სინდიკელი.
დაშავებულებმა გადასცეს სასამართლოს, მაგრამ დამბეზღებლები დაეჭიდნენ შეერთებულ შტატებში არსებულ „სტატუტ ოფ ლიმიტეიშენს“, ე. ი. საჩივარის ყავლის გასვლის გამო საქმე გაურჩეველი დარჩა.

საფიქრებელი იყო, რომ დამნაშავენი გამოიჩენდნენ ელემენტარულ ზნეობას და მოერიდებოდნენ ახალ უსიამოვნო გამოსვლებს. ნათქვამია: „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“.

### ბიბლიოგრაფია (გაგრძელება)

ნომერი 2.) ხელაღებით განაცხადა, რომ „არარუს ერების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება დროებითი, გარდამავალი მოვლენა იყო“ და რომ, შეიქნებოდა რა სათანადო პირობები, ყველა ერები რუსებთან ერთად საერთო მუშაობას დაიწყებდნენ მთლიან სახელმწიფოს შესაქმნელად“.

ურატაძის ასეთი უპასუხისმგებლო განცხადებამ ქართველი ემიგრაციის დიდი უმრავლესსობა აღშფოთებაში მოიყვანა, თვით ქართველი სოც.-დემოკრატები კი, მეტადრე ახალგაზრდობა, უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთმა ახალგაზრდამ ერთ კრებიდან მისი, როგორც უღირსი ქართველის გაძევება მოითხოვა.

იმავე წერილში გრ. ურატაძე ხმარობს ქართველისათვის შეურაცმყოფელ სიტყვებს, „როსიისკი ნაროდი“, რომელიც დღევანდელ შავრაზმულ რუსობამ „როსიანად“ მონათლა. სინამდვილეში „როსიისკი ნაროდი“ არ ყოფილა. იყო „ნაროდი ბივშეი როსიი“, ამ ჟამად „ნაროდი სოვეტსკოგო სოიუზა“, რომელსაც სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. ურატაძე კი დაუფიქრებლად ისვრის სიტყვებს, სინამდვილეს ჰღალატობს და ემიგრაციაში გაუგებრობა და აღშფოთება შეაქვს. მისი უკანასკნელი შრომაც ამავე ხასიათისაა. მე ამ შრომის პირველ დედანს ვიცნობ, მისი პირველი სახით გამოქვეყნება, უცხო სიტყვა რომ ვიხმაროთ, პირდაპირ „სკანდალი“ იქნებოდა. ეტყობა, რედაქციას ბევრი რამ წაუშლია, ლიტერატურული ფორმა მიუცია, მაგრამ, **სამწუხაროდ,** ბევრი რამ ვერ შეუმჩნევია და ის სული, რომლითაც გაჟღენთილია შრომა, ვერ ამოუცლია.

აი, მაგალითად, ურატაძე თავის წიგნაკის მე-13 გვერდზე დაუფიქრებლად აცხადებს, რომ „თუ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსეთის თვითმპყრობელობის მოწოლით დაეცა ქართული ფეოდალური წყობა, ამჟამად მეოცე საუკუნეში კომუნისტური რუსეთის მიერ მოსპობილ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“.

მაშ ასე: ურატაძის მჭლე აზრით მეფის რუსეთს საქართველოში ფეოდალური წყობა მოუსპია. მაშასადამე, პროგრესიული აქტი ჩაუდენია. რუსმა მკითხველმა ეს ადგილი ურატაძის ნაწერისა ასეც გაიგო და ამიტომ იყო, რომ კერძო საუბარში თავმოწონებით გამიცხადა: „მაშ ქართველობა რას უჩივის მეფის რუსეთს, მისი მადლობელი უნდა იყოსო“. ვერც რუსმა და ვერც ურატაძემ გაიგეს, რომ რუსეთმა მოსპო არა ფეოდალური წყობა, არამედ თვით საქართველო, თვით მისი სახელიც კი გეოგრაფიული რუქიდან ამოაგდო და ქართველ ხალხს წმინდა რუსული სახის ბატონ-ყმობა მოახვია, გაცილებით უარესი ფორმა, ვიდრე ქართული ფეოდალური ყმობა, რომელსაც ჩვენი ისტორია „პატრონყმობის“ სახით იცნობს.

„საქართველოს ფეოდალურ წყობაზე“ აი რას სწერენ ქართველი ხალხის მოღალატე ბოლშევიკები და თვით სტალინი:

„ცენტრი 1832 წლის შეთქმულებისა, რომელიც გამოხატავდა მის სახეობას, შესდგებოდა ძველი **ფეოდალური წყობის** დამცველთაგან,რომელთა სურვილი იყო აღსდგენა ბაგრატიონთა დინასტიისა“. („ისტორია ქართული ლიტერატურისა“ რუსულ ენაზე. გვ. 75.

სტალინის ნაწერებში ამავე საკითხის შესახებ ვკითხულობთ შემდეგს:

„ქართველმა თავად-აზნაურობამ იგრძნო, რამდენად საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიების და ბატონობის დაკარგვა, რომელიც მას ქონდა ქართველი მეფეების დროს. სთვლიდა რა ის რუსეთის ქვეშევრდომობას თავისი ღირსების დამცირებად, მოინდომა საქართველოს „განთავისუფლება“. ეს შეთქმულება იყო ფეოდალურ მონარქიული ნაციონალიზმი“. (სტალინის შრომები, ტ. 1,გვ. 32).

ასე აყალბებენ ბოლშევიკური კალმოსნები ქართულ ისტორიას და ისმება საკითხი: რად სჭირდება ბ-ნ გრ. ურატაძეს ბოლშევიკების არგუმენტაციის, მათი ჟარგონის, მათი ფრაზეოლოგიის განმეორება. ვის საქმეს ემსახურება? რად იღებს კალამს ხელში, როცა საგანზე უბრალო წარმოდგენა არა აქვს?!

უილაჯობა ურატაძის აზროვნებისა იქიდანაც სჩანს, რომ იმავე წიგნაკში მკითხველს ატყობინებს, რომ „რუსეთმა საქართველო ორ გუბერნიად გადააქციაო“. მაშ რა მოსატანია იქვე „ქართული ფეოდალიზმზე აზრის შეჩერება?

ურატაძე ფაქტებს და მოვლენებს გადმოგვცემს უკომენტაროდ, მათი შინაგანი მნიშვნელობა, იმ დროის ქართული ცხოვრების განვითარების დინამიზმი მისთვის უცხოხილია. ამგვარად დაწერილ „ისტორიიდან“ მკითხველი რწმუნდება, რომ ქართველ ხალხს დამოუკიდებელი ცხოვრება არა სდომებია, მას მხოლოდ გარეშე ძალებმა: რუსულ ბოლშევიზმმა და თურქეთის ძალადობამ თავზე მოახვიეს. რუსულ მკითხველმა ასეც გაიგო. და თუ ასეთია ურატაძის წარმოდგენით საქართველოს დამოუკიდებლობის წარმოშობის ისტორია, მაშ რითი უნდა ავხსნათ ქართველი ხალხის უსაზღვრო ზეიმი, ძველი სოც.-დემოკრატ მუშა ვლასა მგელაძის მამა-დავითის ეკლესიაში ზარების რეკა და აგრეთვე სოც.-დემოკრატ ლეო რუხაძის ჩემთან ერთად ხერთვისის ციხის დანახვაზე ექსტაზზე მოსვლა და მიწაზე ამბორი? ეტყობა ურატაძეს ასეთი განცდები საქართველოში არა ჰქონია და აბა აქ, ემიგრაციაში რაღას მოიტანდა?!

**დ. საღირაშვილი.**

## გერმანიის ეკონომიური ცხოვრების სასწაული

ყველას მოეხსენება, რა საშინელი განადგურება განიცადა გერმანიამ წარსული ომის განმავლობაში. მრავალი ქალაქები მიწასთან იქმნა გასწორებული. ბერლინი, მიუნხენი და სხვა ქალაქები თითქმის 60-70 % ცეცხლის ალში ჩაიწვა ან ყუმბარების სეტყვის მსხვერპლი გახდა.. თორმეტი მილიონი მოსახლეობა აღმოსავლეთ- პრუსიისა და სუდეტენლანდისა აყრილ იქმნა და ტერიტორიით შევიწროებულ გერმანიას შეაფარა თავი. ფაბრიკა-ქარხნებიდან და სასოფლო მეურნეობიდან აყრილი ხალხის მასები ტალღებსავით ხან ერთ მხარეს და ხან მეორეს ეხეთქებოდა. ისე სჩანდა, თითქოს დამარცხებულ გერმანიას ველარაფერი ეშველებოდა.

მაგრამ არა! გერმანიის ხალხს უნუგეშობა არ მოეკიდა და როგორც ჭიანჭველები დანგრეულ სოროს ხაელახლა უდგებიან აშენებას, გერმანიის ხალხი ასევე მუყაითად შეუდგა შრომას, რომელიც ერთად ერთია ღირებულების შემქნელი და ცხოვრების განმაახლებელი.

ხოლო ეს არ კმაროდა, საჭირო გახდა შრომის მიზანშეწონილი მეთოდის და წესის გამონახვა. ასეთ კარდინალურ, ერისათვის სასიცოცხლო საკითხში დაუპირდაპირდა ერთი მეორის საწინააღმდეგო წარმოდგენა: დაგეგმილი სახალხო მეურნეობა თუ თავისუფალი, ე. წ. „მარკტვირტშაფტ“, ესე იგი, თავისუფალი საბაზრო მეურნეობა, რომელიც ერის ყოველ წევრს შესაძლებლობას მისცემდა თავისი ნიჭი, უნარი და ინიციატივა გამოეჩინა და აამოქმედებინა. აი ამ საბედისწერო მომენტში გამოჩნდა ადამიანი უდიდესი ცოდნით აღჭურვილი, პროფესორი სახალხო მეურნეობისა და სოციოლოგი ლუდვიგ ერჰარდი, დღევანდელი მინისტრი გერმანიის ფედერატიული მთავრობისა. ერჰარდმა სასტიკად და დამაჯერებლი საბუთებით გაილაშქრა დაგეგმილი მეურნეობის წინააღმდეგ, გაიმარჯვა ამ ბრძოლაში და უკვე რვა წელიწადია სათავეში უდგას გერმანიის განახლებულ ეკონომიურ ცხოვრებას. ცნობილია მისი მოკლე და სხარტული სიტყვები, წარმოთქმული სწორედ მაშინ, როცა ასე საჭირო იყო: „არა სიღარიბის გათანასწორებაში უნდა ვეძიოთ ჩვენი ხსნა, არამედ ეკონომიურ წინსვლაში და შრომის პროდუქციის სამართლიან განაწილებაში“. აი რამ შეჰქმნა გერმანიის ეკონომიური სასწაული. დღეს გერმანია ეკონომიურად გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე გამარჯვებული ქვეყნები, გარდა ამერიკისა.

ეკონომიური ცხოვრებისა და საქმიანობის საერთო ხაზს და მიმართულებას დაემატა მუშათა თავისუფალი პროფესიონალური კავშირებისა და კოოპერატივების ფართო ეკონომიური ინიციატივა. მუშათა კავშირებში და ორგანიზაციებში დაგროვდა მილიარდების თანხები, რომელიც მკვდარი, უძრავად კი არა ძევს, არამედ სახალხო მრეწველობაში და ვაჭრობაში არის დაბანდებული. ოთხიხუთი წლის გნმავლობაში მათ ააშენეს ასი ათასი 2—3 ოთახიანი საცხოვრებელი ბინა, რომლითაც სარგებლობენ კავშირთა წევრები და აგრეთვე ხელმოკლე მოსახლეობა. მუშათა ორგანიზაციების წარმოებები და საკუთარი ბანკები გადაიქცნენ უდიდეს კონცერნებად და საგრძნობ კონკურენციას უწევენ კერძო მწარმოებლებს, რითაც ხელს უწყობენ სანოვაგისა და საქონლის ნორმალურ დონეზე გაჩერებას.

გერმანიის ეკონომიური ცხოვრების შესწავლა გვიჩვენებს სასწაულის საიდუმლოებას, რომელსაც გაკვირვებაში მოჰყავს ბევრი. ეს „საიდუმლოება“ კი არის ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ყოველ ინდივიდუუმს და თავისუფალ დაჯგუფებას, სხვა და სხვა ეკონომიურ საზოგადოებებს სრული თავისუფლება და საშუალება უნდა მიეცეს ამოქმედებისა, თავისი ნიჭის და უნარის გამოცდილების გამოჩენისა.

გერმანიის ხალხი გაბედულად და გადაჭრით დაადგა ამ გზას და 4—5 წელიწადში სასწაული უჩვენა კაცობრიობას; საბჭოთა კავშირი კი აი 40 წალიწადია, რაც სტკეპნის ერთ ადგილს თავისი დაგეგმილი მეურნეობით და გვიჩვენებს უილაჯობის, სიღარიბისა, უზომოდ გაზრდილ ბიუროკრატიზმისა და უკან ჩამორჩენილობის მეორე სასწაულს, რომელიც ძალიან ძვირად უჯდება განაწამებ მოსახლეობას.

**თბილელი.**

## მიხეილ ჯავახიშვილის ლიტერატურული ნაკვესები

ამ წელს სრულდება 20 წელიწადი, რაც რუსული ბოლშევიზმის მსახურ ჯალათებმა საქართველოში მოუსპეს სიცოცხლე (1937 წ.) გამოჩენილ ქართველ მწერალს მიხეილ ჯავახიშვილს. მისი ნიჭიერი თხზულებანი სავსეა ქართველური ჰუმორით, მოსწრებული ნაკვესებით,, რომელთა შორის მოგვყავს აქ ორი ასეთი დამახასიათებელი ნაკვესი.

**რუსები და ჩვენ:**

„საკვირველი ხალხი ყოფილა რუსები. აქამდის ვერავინ ხეირიანად გაიგო მისი სული და ასიათი. მე მეგონა, რუსის ხალხი საკუთარი ძთავის განთავისუფლებას აპირებს-მეთქი. თურმე ნუ იტყვით, ის მართლა დაეჭიდა მთელ ქვეყანას. ეს ჭიდილი დამარცხებით გაუთავდება. ამ საზღაპრო ბრძოლაში რომ რუსობა განახევრდეს, მაინც არაფერი უშავთ, ჩვენ კი — ქართველები, თითებით ვსთვლით ერთმანეთს. დღევანდელი რუსეთი სამარისაკენ მიექანება და ერთი მუჭა ქართველებსაც თან მიათრევს. ბოდიშს ვიხდი, შეიძლება სამარემდის მივყვეთ, მაგრამ სამარეში კი ვერ ჩავყვებით... დღეს ვეუბნები მას: დღევანდლამდე გსდიეთ, მაგრამ კმარა!... ამას იქით ველარ გამოგყვებით... მშვიდობით! ღმერთმა ხელი მოგიმართოს! ჩვენ ჩვენი სამშობლო გვაქვს!..“ („კვაჭი კვაჭანტირაძე“, გვ. 389.

**საქართველო და ჩვენ:**

„ ... ჰოი, მტანჯველო ქვეყანავ! ჩემი შენთან ცხოვრება ჯოჯოხეთია, რადგანგვიყვარხარ, — ხოლო უშენობაც ჯოჯოხეთია, რადგან ისევ გვიყვარხარ. და იმ ქვეყნად ჩვენ რომ სამოთხეში შევიდეთ და შენ კი ჯოჯოხეთში აღმოჩნდე, იქაურობას მივანგრევთ და ისევ შენთან ჯოჯოხეთში გადმოვალთ. მაშ ამ სიყვარულით ვიცხოვროთ, ერთგულად ვჭიმოთ ჰაპანი ჩვენი და სიხარულით დავლიოთ დღენი ... დიაღ, სიხარულით, სიყვარულით და გულლია სიცილით დავლიოთ დღენი, რამეთუ ცრემლი სიკვდილის მონალანდია, სიცილი კი — სიცოცხლის მონაბერია“... („გივი შადური“.)

## კაცობრიობის რელიგიური დაყოფა

თანახმად სტატისტიკური ცნობებისა, გამოქვეყნებულ 1953 წ. „პაპის წლიურ წიგნში“, კაცობრიობა მთავარ რელიგიურ მიმართულებათა მიხედვით დანაწილებულია შემდეგნაირად:

**ქრისტიანები:** 769 მილიონი; აქედან კათოლიკები — 423 მილიონი.
**პროტესტანტები:** 202 მილიონი.
**მართლ-მადიდებლები:** 144 ძმილიონი
**მაჰმადიანები:** 374 მილიონი.
**კონფუციანისტები:** 310 მილიონი.
**ინდუისტები:** 252 მილიონი.
**ბუდისტები:** 225 მილიონი.

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ დასავლეთ გერმანიაში გარდაიცვალა დამოუკიდებელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის ძდირექტორი

**სიმონ პეტრეს ძე გეგელაშვილი.**

ულრმეს თანაგრძნობას უცხადებთ განსვენებულის მეუღლეს პელაგიას, მის მის შვილებს, სიძეებს და შვილიშვილებს.
რედაქცია.

EDITORIAL BOARD Dr. G. Gabliani
S. Kaishauri, G. Lolua.
EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.
12-29 — 120 St. College Point. L.